ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2019 წლის 1 მაისის რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი № 11

დ. ხარაგაული

9 აპრილის ქ. #15

1 მაისი 2019 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა - საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

რუსუდან გიორგაძე- საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

გივი თხელიძე - ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

მალხაზ ფხალაძე - საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე,

დავით კიკნაძე - საკრებულოს განათლების, კულტურის და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის თავმჯდომარე,

ვარლამ ჭიპაშვილი -საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე,

პაატა გოგოლაძე -ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე,

იუზა კელენჯერიძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“-ს თავმჯდომარე,

გივი თავზარაშვილი - ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორების“ თავმჯდომარე,

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეები:

ქეთევან ზუმბაძე - ფრაქცია „ძალა ერთობაშია“ თავმჯდომარის მოადგილე,

შალვა ლურსმანაშვილი - ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე,

მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი:

ვლადიმერ გელაშვილი - მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახური უფროსი,

საკრებულოს აპარატი:

ლ.კალანდაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზ. ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

ნ. თხელიძე საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

თ. მაღრაძე - ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ ჟურნალისტი,

მ. შათირიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი,

ნ. კაპანაძე გაზეთ „ჩემი იმერეთის“ ჟურნალისტი

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მ. ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და ბიუროს სხდომაზე განსახილველ საკითხთა შემდეგი ნუსხა

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 06 მაისის სხდომის დღის წესრიგში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკითხთა ნუსხა

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია.

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის N48 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე 9

წინააღმდეგი 0

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვლადიმერ გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია.

აზრი გამოთქვეს:

შ. ლურსმანაშვილმა დააყენა წინადადება, რომ მოხდეს პრიორიტეტების განსაზღვრა წინასწარ შევისყიდოთ პროექტები და თანხის გამოყოფის შემთხვევაში ოპერატიულად მოხდეს განხორციელება. თეთრაწყაროში ოკიშურაში ითხოვენ მოსაცდელს

ვ. გელაშვილმა განუმარტა, რომ მოსაცდელთან დაკავშირებით წერილით უნდა მიმართოთ მერიას.

ვ. ჭიპაშვილმა აღნიშნა, რომ 2018 წელს, რომ გავეცით ავანსი მეწარმეზე, რომელმაც არ შესარულა ვალდებულება და 2019 წელს ისევ გავეცით ავანსი ამაზე უნდა იყოს ინფორმაციაში საუბარი, ასევე

ჩემი შეფასებით, წარმოდგენილი ინფორმაცია ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების თაობაზე არის ზოგადი და არ მოიცავს ინფორმაციას კონკრეტული ღონისძიებების შესახებ,რომელთა განსახორციელებლად საბიუჯეტო თანხები გაიხარჯა.მუნიციპალური პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში დაფინანსებული ღონისძიებების ჩამონათვალი არ იკითხება ინფორმაციაში.ამასთანავე, რიგ

შემთხვევებში ინფორმაციაში არ არის შედარებები წინა წლის შესაბამის პერიოდთან და ამ წლის პირველი კვარტლის გეგმასთან, რომლის ასახვაც აუცილებელია საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით.
მიმაჩნია, რომ საბიუჯეტო ცვლილებების შემთხვევაში დაკონკრეტებას საჭიროებს კულტურის კუთხით რომელი ექსპონატებისა და ვისი ბიუსტების შეძენა იგეგმება ისტორიული მუზეუმისთვის და რა არის თითოეული მათგანის ღირებულება , ქორეოგრაფიული ანსამბლის მივლენების შესახებ მოწოდებული უნდა იქნეს ანსამბლში მონაწილე ბავშვთა სახელობითი სია და ინფორმაცია თითოეულ მონაწილეზე გასაწევი ხარჯის შესახებ ,ასევე ,აუცილებელია კომისიაზე წარმოდგენილ იქნას ინფორმაცია რა თანხები იქნა დახარჯული თითოეულ ოჯახზე, რომელიც სტიქიით დაზარალდა და ფინანსური უზრუნველყოფისათვის საბიუჯეტო ცვლილების განხორციელების აუცილებლობაა გამოწვეული.
ჩვენ ასევე იმ აზრზე ვრჩებით, რომ კვლავ უნდა გაიზარდოს სოციალური კუთხით ხარჯები.

მ. ბარბაქაძემ საკრებულოს თავმჯდომარემ მომხსენებლისგან მოითხოვა განმარტება 800 ლარის ხარჯვასთან დაკავშირებით.

ვ. გელაშვილმა განმარტა, რომ 800 ლარი დაიხარჯა სარიტუალო სახლების დენზე დასაერთებლად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2019 წლის 6 მაისის სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე 9

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2019 წლის 6 მაისის სხდომის დღის წესრიგში.
2. დაევალოს საფინანსო- საბიჯეტო კომისიას საკითხვის განხილვა.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვლადიმერ გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის N48 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

აზრი გამოთქვეს:

ვ. ჭიპაშვილმა მოითხოვა სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებზე გახარჯული თანხის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და აღნიშნა, რომ მხოლოდ დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ მოხდება მსჯელობა, ასევე დაზუსტებას საჭიროებს მუზეუმისთვის ბიუსტების შეძენის საკითხი და აზერბაიჯანში ქორეოგრაფიული ანსამბლის მონაწილეობის საკითხი . იმ შემთხვევაში, როცა ბოლომდე არ არის გადაწყვეტილი სასპორტო სკოლის შექმნის საკითხი საბიუჯეტო ცვლილება, რამდენად განხილვადია.

დ. კიკნაძემ აღნიშნა, რომ დეკემბრის თვეში ძლიერი ქარის გამო დაზიანდა მისი საცხოვრებელი ბინა აქ რა ხდება?

3. გელაშვილმა უპასუხა, რომ ზარალი, რომელიც ჩვენს მიერ იყო დათვლილი შეადგენდა 66 ათას ლარს, გამოგვიყვეს 60 ათასი ლარი, ჩვენს მიერ წინასწარ მოხდა სამშენებლო მასალის შესყიდვა ავანსით და დაურიგდა მოსახლეობას ახლა ამ თანხით მოხდება მისი დაფარვა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2019 წლის 6 მაისის სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2019 წლის 6 მაისის სხდომის დღის წესრიგში.

2. დაევალოს საფინანსო - საბიჯეტო კომისიას საკითხვის განხილვა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 6 მაისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის).

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**